<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში *(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343)* შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევის მომენტი.“

3. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ზ) საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევის შემთხვევაში - ზარის ხანგრძლივობის მიხედვით.

4. 188-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

5. 189-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

6. 191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელი;

7. 309-ე მუხლს 91-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 92-ე ნაწილი:

„92. ამ კოდექსის 188-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი, 2017 წლის 1 იანვრამდე შეადგენს 8 პროცენტს, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე - 3%-ს.“

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-6 პუნქტებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-6 პუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*